უკრაინაში ვინიცის ოლქში „მეუ“-ს მომხრეები ტაძრის მიტაცებას შეეცადნენ

2021 წლის 18 ივლისს უკრაინის ვინიცის ოლქის მუროვანიე-კურილოვცის რაიონის სოფელ ვერბოვეცში „მეუ“-ს აგრესიულად განწყობილი წარმომადგენლები ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ძალადობრივად მიტაცებას შეეცადნენ. თავდასხმას წინ უძღოდა ვინიცის ოლქის ეროვნებებისა და რელიგიების საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ი. ა. სალეცკოვის უკანონო ქმედებები, რომელმაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური თემის გადაწყვეტილების მიუხედავად, 12 ივლისს სამრევლო „მეუ“-ში გადაარეგისტრირა.

როგორც უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო დეპარტამენტი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლოს სოციალური ქსელის „ფეისბუქ“ გვერდის ინფორმაციულ მონაცემებზე

დაყრდნობით იუწყება, სამრევლოს ძალადობით მიტაცების მცდელობა განახორციელეს „მეუ“-ს ადგილობრივმა მხარდამჭერებმა და ხალხმა, რომლებსაც არასდროს არ ჰქონიათ კავშირი ადგილობრივ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებულთან და მანამდე ტაძარშიც არ დადიოდნენ.

„კანონიკური ეკლესიის მღვდელსა და მორწმუნეებს სცემდნენ და აგდებნდენ მათივე ტაძრიდან, სადაც ისინი წლების განმავლობაში უფალს ემსახურებოდნენ. მღვდელს ჯვარი ჩამოგლიჯეს. მეუ-ს აგრესიულ წარმომადგნელებს თან ჰქონდათ ალესილი რკინის ჯოხები და იმუქრებოდნენ, რომ ტაძრის მრევლს „დაჩეხავდნენ როგორც ღორებს“, – ნათქვამია სამრევლოს ვებ-გვერდზე. მომხდარის შემდეგ სასამართლოს დადგენილებამდე ტაძარი დალუქეს.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ალექსანდრე ლუჩინი ოც წელზე მეტია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლოში მსახურობს, სწორედ მისი და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი მორწმუნეების ძალისხმევით ჩაუტარდა ტაძარს რესტავრაცია, აშენდა სატრაპეზო.

„მოტყუების გზით, სოფლის მოსახლეობის კრების მეშვეობით, და არა რელიგიური თემის კრების სახელით, ჩაბარდა საბუთები „მეუ“-ში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოს გადარეგისტრირებისათვის, რომელსაც ამის შესახებ არ უთხოვნია. კანონიკური ეკლესიის მორწმუნეებს არ სურდათ და არ სურთ იურისდიქციის შეცვლა“, – ნათქვამია შემდგომ კომენტარებში. პუბლიკაციაში, აღნიშნულია, რომ ი. ა. სალეცკოვის ქმედებამ, რომელმაც სოფლის მოსახლეობის კრების პროტოკოლის საფუძველზე, და არა რელიგიური თემის კრების მოთხოვნით, მოახდინა კანონიკური ეკლესიის კრებულის „მეუ“-ში გადარეგისტრირება, განხეთქილებაში მყოფი ორგანიზაციის მომხრეების მხრიდან ახალი აგრესიული ტალღის პროვოცირება მოახდინა

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87756/